№ 28 — 1916
კვირა, 10 მკათათვ

წელ. მეოთხე
გამოცემისა

ფასი
12 კაპ



შიო ჩიტაძე

გარდაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო

მორიგი მეთაური „**ცხოვრების გამოძახილი**“ ვერ იბეჭდება.

კუჭი

ვაი საწყალს და ბნელ მხარეს,
სად ძმა ძმაზე ლესავს კბილებს,
სად ძვალ-რბილში გაჯდომიათ
კუჭის მრწამსი თვით ყმაწვილებს!

გრ. ვოლსკი.

ეს ძალიან სამწუხარო ამბავია ჩვენებურ ხელოვანის ცხოვრებიდან ამოღებული.

სამწუხარო და ძველი.

სამოცდა ექვსი წლისა მაინც იქმნება.

ვგულისხმობ გ. ერისთავის პირველ „ცისკარს“ და მისსავე ქართულ წარმოდგენას.

იქიდან აქამომდე მწერალს არ შეუძლიან მწერლობით იცხოვროს, მსახიობსაც... ჰო, არა! ზოგჯერ ნახევარი წლის სიცოცხლის უფლება ეძლევა...

მხატვრების და მოქანდაკეების ამბავი ხომ ჯერ არც-კი დაწერილა.

ეს მეტად ახალი, კოხტა და ევროპიანი ლეგენდაა.

მეშინიან ამ ცისარტყელის!

ამ გვარად ჯერ აქამომდე ვერ შექმნილა ისეთი დონე ჩვენის ცხოვრებისა, რომ ხელოვანი თავის თავს არ გაურბოდეს.

ერთ დროს პეტრე უმიკაშვილი სწერდა: სირცხვილია ქართველმა ხელოვანმა გასამრჯელო აიღოსო. დაახლოვებით ასეთი იყო მისი აზრი.

და აკი ირცხვენდნენ კიდეც და კანტიკუნტად, სხვათაშორის, შემოჰქონდათ თავიანთი წვლილი.

თუმცა ბევრი გაიქცა, ბევრი...

ახლაც გარბიან.

მაგრამ ჩემის ფიქრით ახლანდელი გაქცევა არა გავს ძველებურს.

დღევანდელი ჩვენი ცხოვრების ვითარება მაინც მეტს იძლევა ნივთიერად ე. ი. თავის ორიოდე მუშაკს ვაინახროპიო მაინც ინახავს და... წინეთ-კი ასე არ იყო.

უთუოდ ამან გამოიწვია „თეატრი და ცხოვრების“ № 28 მეთაური.

მართალია ის მოსაზრებაც, რომ სილაჩრეა ადამიანს გმირობა მოსთხოვოო.

მაგრამ...

დიდი მაგარია აქ!

რა გვინახავს, რა გვისწავლია, ვინა ვართ, მაგ. მსახიობები?

გმირობას კი არავინა თხოულობს, მაგრამ შეიძლება ზოგჯერ რომ აგვიხსნან, ვიგულისხმოთ... ზოგი რამ შევიგნოთ და მოვიწონოთ.

შეიძლება ყველაზე ეს არ ითქმოდეს, მაგრამ უმრავლესობაზე... სათქმელია.

როგორ იტყვიან ახლა?..—**გათვითცნობიერებაა** საჭირო, თორემ ისე მართალი ხართ.

მეორე თაობა მსახიობთა ვერ არის ისე მტკიცე თავის მოწოდებისადმი, როგორიც მირველი იყო.

მეორეებს ცოტა რამ მსხვერპლის მოტანაც გვეძნელება.

აქაოდა ჯამაგირი დამაკლდებაო, თითქო ხარისხით ჩამოვქვეიდებიო,—ამასც ველარ ვითმენთ.

ვინ ამბობს? დღესაც გროში ეძლევა ქართველ მსახიობს. ცხოვრება-კი როგორ გაძნელდა, ვინ არ უწყის? უბრალო გადამწერლებს, კონდუქტორებსა და სხვა მდაბალ მოხელეებსაც-კი მოუმატეს ცხოვრების სახსარი. **მხოლოდ** მსახიობთა შორის **უპირველესად** მიჩნეულთაც **200** მ.—მდე თუ ეძლევათ, ამ თანხასაც ძლივს მიაღწიეს. ეს მართალია, მაგრამ. .

პირველმა თაობამ **სიმშილის** გამოჭირვებაც იცოდა. რა საჭიროა დასახელება. მთელი ქართველობა ამის მოწმეა.

ჩვენ-კი თუ ცოტა გაგვიჭირდა, გავრბივართ სცენიდან და სხვა **ხელობას** ვკიდებთ ხელს არ მოგვშივდებაო!

მართალია ბევრს ჩვენთაგანს ოჯახი ჰყავს შვილები, იმათ რა დააშავეს, პაწიებმა.

დიდი ტრაგედიაა, მაგრამ გული არ მითმენს არა ვთქვა: საყვარელ საქმეს თუ დიდ მსხვერპლს არ მოვუტანთ, მაშ ის არც საყვარელი ყოფილა.

მე მგონია, **რომ** დარაჯი სადარაჯოზე უნდა მოკვდეს. ექიმმა ექიმობაში უნდა დალიოს სული, მწერალს სიკვდილმა წერის

მსახიობი ალ. ალექსიძე (ქურდოვანიძე)
გარდაცვალებიდან წლის
თავის შესრულების გამო.

დროს უნდა გააგდებინოს კალამი ხელიდან, მსახიობიც, თუნდა გრიმის კეთების დროს, თუნდაც სადმე პროვინციის დაჩხარულ საპირფარეშოში უნდა მიიცვალოს.

ამას აქვს მადლი. ამას ახლავს თავის საამაყო ღირსება.

და სწორედ ეს უნდა კარგათ შევიგნოთ მსახიობებმა.

„ვაი საწყალს და ბნელს მხარეს!..
სად ძვალ-რბილში გაჯდომიათ
კუპის მრწამსი"...

არაფერი მაღალი კუპის ყურის გდებით არ გაკეთებულა.

და არასოდეს არ უნდა განვიშოროთ ფიქრიდან, რომ „არა მხოლოდ ერთითა პურითა ცხოვნდების კაცი".

შორს არ არის წასვლა საჭირო. მსახიობთა პირველმა თაობამ ნათლად გვიჩვენა მაგალითი. ყველა მათგანს კარგად ვიცით, რომ შეეძლო პირადი ბედნიერება უფრო მაგარ მკვიდრ საფუძველზე აეგო.

ვასო აბაშიძეს, სხვა არა იყოს-რა, მასწავლებლის პენსია მაინც ექმნებოდა დამსახურებული, გუნია ხომ, რა ვიცი,—მომიტეოს!—შეიძლება გუბერნატორიც ყოფილიყო ახლა. ლადო მესხიშვილი? განა შეიძლება იმისთანა დიდი ნიჭის პატრონს მოხელეობაშიაც არ ეჩინა თავი?..

ეს არ არის მთლად ხუმრობა!

მე არას ვამბობ იმათზე, ვინც პირველ იმათთვის მართლაც ძნელი იყო გაპროფესიონალება. ჩვენი თეატრი შედარებით ამდენს არ იძლეოდა.

ახლა-კი, მადლობა ღმერთს, 50 მ. ჯამაგირი სულ მცირედ ითვლება ჩვენს სცენაზე, მაშასადამე, ვაინაჩრობით, მაგრამ გაძლება შეიძლება.

და პატარა მსხეერპლის მოტანა, მე მგონი, შინაობაში შემიძლიან თამამად მოვითხოვო.

თორემ საქმე თუ ასე წავიდა, მართლაც ჩვენი თეატრის ბედი დიდათ დამაფიქრებელი შეიქნება.

არა, მე მწამს მომავალი, მწამს ჩვენი ახალხის ნიჭი, მწამს მისი ღონე. უთუოდ ერთ დროს ჩვენ ვერც-კი წარმოვიდგენთ, ისეთ მოელვარე, სხიოსან ტაძარს შექმნის სამშობლო კუთხე, მაგრამ ეს ყოველი ხომ ხელ-ახლა დასაფუძნებელი, ხელ-ახლა წარმოშასობი შეიქნება.

რათა, რათა?

თბილისზე ამბობენ—თეატრი აღარა გვაქვსო. დიდათ სავალალო მოვლენაა, მაგრამ მარტო კედლებზე როდია საქმე.

ცოცხალი ძალაა შემქმნელი საქმისა. დღეს ეს ცოცხალი ძალა იბნევა, იქსაქსება.

კუპი გაახსენდა!

და იმის მაგივრად, რომ გზათ და ხიდათ გასდებოდა მშვენიერ წარსულსა და საუკეთესო მომავალს, ახლავ უნდა ჩაიტეხოს, ჩაიმტვრეს და ჩაშალოს.

მოვალეობა უნდა გვახსოვდეს, საქმე უნდა გვიყვარდეს, ჩვენ ეს მსახიობებს. და მაშინ თვით ხალხიც მეტი გულმოდგინებით შეგვიწყობს ხელს, ის იმდენ ღონეს კიდევ მოიკრეფს, რომ თანდათანობით თავისი კულტურული მუშაკნი უზრუნველ ჰყოს.

თვით ჩვენ არ უნდა ჩავანელოთ ცეცხლი ჩვენს სამსხვერპლოზე, თორემ სამსხვერპლოც შეიძლება მივიწყებულ იქმნას და შეიძლება მრავალ ჟამთ შემდეგ უკეთესი სამხვერპლოც აგებულ იქმნას და ცეცხლიც უფრო ძლიერ გაჩაღდეს, მაგრამ მერე ჩვენ რა? მერე ჩვენ რა?

მაშ კერძოთ ჩვენ მსახიობებმა მოვიკრი-

ხან ებშივე ჩამოეცალნენ სცენას და სამსახურს მიაშურეს.

მოვიკრიფოთ ლონე, ჩაუკვირდეთ ჩვენს მოვალეობას და აზრათაც ნუღა გავიტარებთ, რომ, მსახიობობას ვთქვათ ბუხჰალტერის ადგილი მირჩევნია, რადგან იქ მეტს იძლევიანო.

ახლა საპირადო რეპლიკა № 2ე მეთაურს.

შალვა დადიანიც მხოლოდ პროვინციას გადაჰყვა და შემთხვევით წარმოდგენებზე დახურდავდაო.

მგონი ასეა ნათქვამი. ზეპირად ვიგონებ.

ჯერ ერთი მადლობა დახურდავებისათვის.

ეს მოფერებაა, რომელიც არა მწყინს. მეორე-კი საყვედური პროვინციის გადაყოლისათვის. მეთაურსაც უთოდ კარგად ესმის, რომ პროვინციის სამსახური, თუ კი ეს ჩემმიერ შესაძლებელია, გასამხნევებელიც-კი არის, რადგან დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ პროვინციას კიდევ უფრო სწყურია საკუთარი, ეროვნული თეატრი; ის ხარბად ეწაფება უკვეთუ სადმე ესეთი წყარო გამოჩნდება და ამას ვინც შევძლებთ, უთუოდ უნდა შევეშველოთ.

აი კიდევ სად მტკიცდება ის აზრი, რომ საქმე კედლები კი არ არის, არამედ ცოცხალი, შემოქმედი და მმოძრავი ძალა.

—

გადავიკითხე ეს წერილი და შემდეგ ნაღვლიანს გამეცინა.

— ჰხედავთ თვით მსახიობი რას ამბობს!.. საქმის გულისათვის დასჯერდით ცოტას და ნუ ცდილობთ, რომ ნივთიერადაც ცხოვრება გაიუმჯობესოთო!

ჰმ.—ამის მეტი რა გვსმენია ჩვენს მოანტრეპრენიერო დაწესებულებათაგან გარიგების დროს:

— თქვენ უნდა დასთმოთ, რადგან საქმე თხოულობს ამასო

მაგრამ განა მეც ამ ფარისევლურ შირმას ვეფარები?..

მე მინდა მსახიობმა ნივთიერადაც თავისი ღირსება არ დაჰკარგოს, მაგრამ ამ ნივთიერებას-კი არ გადაჰყვეს.

ერთის სიტყვით რაღად უნდა ახსნა მას, რაც ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. დავსვათ წერტილები...



სიყვარული და ერთგულება

ბულგარული ლეგენდა

ის იყო ბრძენი მოხუცი... ყოველი ადამიანი მასთან მიდიოდა და დარიგებას ითხოვდა...

ერთხელ, როდესაც მოხუცი თავისს სენაკში მარტო იყო, მისცვივდენ სიყვარილისგან მოტყუებულნი და ჩოჩქოლი ასტეხეს:

— მოხუცო,—ქვითინით ეკითხებოდა ერთი: ნუ თუ ქვეყნად ერთგულება არ სუფევს?.. ნუ თუ არ არის ერთგულება, რომელიც ყველაზე ძვირფასია... ძვირფასია თვით სიცოცხლეზედაც-კი... მოხუცო, გვითხარი, გვასწავლე ჩვენ უვიცებს... ნუ თუ ერთგულება, ერთგულება...

და ქვითინით დაეცა მიწაზე...

მოხუცი ღრმათ დაფიქრდა. მოკრძალებით გადაშალა სიკვდილ-სიცოცხლის წიგნი და ალელვებით ამოიკითხა შემდეგი:

„არის ქვეყნად სიყვარული, მაგრამ არ არის ერთგულება....

ერთგულია ძაღლი ადამიანისა, სანამ უკანასკნელი საზრდოს არ მოაკლებს მას...

ერთგულია ცოლი ქმრისა, სანამ პირველს სხვა არ შეიყვარებს მეორეზე უფრო...

ერთგულია შვილი მამისა, სანამ პირველი არ დავაჟკაცდება და თითონ გახდება მამა“.

მოხუცმა კითხვა გაათავა, სასოებით დახურა „სიკვდილ სიცოცხლის“ წიგნი და დაიწყო:

ცივსა და უდაბნო ქვეყანაში, სადაც მზის ნაცვლად ყინული ანათებს, სცხოვრობდა ერთი ყმაწვილი...ის იყო ბუნებით დაჯილდოებული და უყვარდა მამა ისე, როგორც არავის სხვას...

ღმერთს უნდოდა გამოეცადა ყმაწვილი, მოიხმო ეშმაკები და უთხრა: ცოდვილ მიწაზე, სადაც დღე-ღამ შეუმჩნევლათ დაეხეტებით და მართალთ აცდუნებთ, სადაც სიკვდილსა და სიცოცხლეს გაცხარებული ბრძოლა აქვთ ადამიანთა ცხოვრებაზე, სადაც გააფთრებული, უკუღმართი ტალღები ცხოვრებისა ათასობით ახრჩობს ადამიანთა, აი იქ, ერთი კეთილმორწმუნე ადამიანია; მოხუცია იგი და

დაღლილია სული მისი... მას ჰყავს ერთგული შვილი, რომელსაც შთაენერგა სიყვარული, ერთგულება და ყოველივე ის, რაც საჭიროა ადამიანისთვის... კმარა მისთვის სიცოცხლე... თავისი მოვალეობა მან უკვე შეასრულა .. მიფრინდით მასთან და ამოჰხადეთ სული.

საზარლად შეჰკივლეს ეშმაკებმა და გახარებულნი დაეშვენ დედამიწაზე.

II

მწუხარედ ქვითინებდა შვილი მამის საფლავზე... იმედი დაჰკარგოდა... გააფთრებული და გაგიჟებული ჰკოცნიდა მამის გაცივებულ გვამს...

მას ვერ წარმოედგინა, თუ ოდესმე მოხდებოდა ასეთი უბედურება და სწყევლიდა გაჩენის დღეს...

და დასწყევლა მან ცხოვრება, რომელიც იმ წამს უდაბნოდ მოეჩვენა...

დიდხანს, დიდხანს დასტიროდა შვილი მამის გაცივებულ გვამს და სიკვდილს ჰგმობდა:

— ღმერთო, ღმერთო,— ქვითინით ამბობდა ის: მე, მარტო მე მიმიძღვის დანაშაული მამის სიკვდილში... მე არ ვიყავი მისი ერთგული, თორემ შავი ანგელოსები ვერ წამართმევდენ მას...

უფალო, თუ-კი გესმის ჩემი თხოვნა, მომიტევე... და თუ ყოვლად შემძლე ხარ, დაუბრუნე მას ისევ სიცოცხლე... მის მკვდარ სხეულს კვლავ შთაბერე უკვდავი სული... უფალო... მე მარტო ვარ... მარტოდ მარტო... მისი სიკვდილით ყველაფერი დავკარგე... უფალო... მისმინე...

III

ღმერთს შეებრალა ყმაწვილი. დაუძახა თეთრ ანგელოსებს და უბრძანა:

— ერთგულნო ანგელოსნო, ჩაფრინდით ცოდვილ მიწაზე, მონახეთ უსულო გვამი ყმაწვილის მამის... ჩაბერეთ მას სული ცხოველი და განუგრძეთ გაწვალებული ცხოვრება... მას უცდის მწუხარება... აეხილება თვალები ყმაწვილს და მიხვდება, რომ შავი ანგელოსები მხოლოდ მაშინ ართმევენ ადამიანს სულს, როდესაც უკანასკნელმა შეასრულა ყოველივე ის, რაც მის ბედის წიგნში ეწერა.

IV

ყმაწვილის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა... იგი მთლად გამოცვლილიყო, ტკბილად ეკვროდა მამას გულში და მხურვალედ უკოცნიდა თეთრ წვერს...

— ჩემო მამა, ჩემო საყვარელო მამა!— გრძნობით ამბობდა და მაგრა ეხვეოდა კისერზე... ხომ აღარ მოკვდები, ხომ აღარ მომცილდები, ძვირფასო მამა...

— სულ შენთან ვიქნები... სულ შენთან...— ჩემო ერთგულო, საყვარელო, შვილო!... ღმერთმა ისმინა შენი ვედრება და გამაცოცხლა მისთვის, რომ გამოცადოს ერთგულება შენი... მე ვიცოცხლებ მანამდი, სანამ შენ ჩემი ერთგული იქნები...

და თუ მიღალატე, მაშინ მოვკვდები და არასოდეს არ გავცოცხლდები...

— არა, არა, მამა... როგორ გიღალატებ... ჩემო მამა... ჩემო ძვირფასო... აღელვებით იმეორებდა ყმაწვილი და გულში ეკვროდა...

V

ზამთრის საღამო იყო... მოწმენდილი ცა მოჭედილი ვარსკვლავებით ამაყათ დაჰყურებდა დაბლა მიწას... კამკამა მთვარე ამაყად მისრიალებდა, ირგვლივ სიჩუმე იყო, თითქო, მძლავრ ყინვას ყველაფერი გაექვავებია. პატარა ოთახში მოქანცული მოხუცი ლოგინზე იწვა და ტკბილ ძილს მისცემოდა.

ყმაწვილი-კი, ახლა საკმაოდ დავაჟკაცებული, იქვე იჯდა, გაკვირვებით დასცქეროდა მძინარე მამას და ფიქრობდა:

— როგორ ვგავარ მას... იქნებ მისი სხეულიც ოდესმე ჩემს სხეულსავით სავსე იყო...

ახლა-კი მხოლოდ უსიცოცხლო აჩრდილია დარჩენილა... ეს იმტომაა, რომ მან ყოველივე მე გადმომცა... მე ვიზრდებოდი, ეს კი სუსტებოდა... და ახლა-კი თითქმის არაფერი დარჩენილა მასში...

ყველაფერი ჩემზე გადმოვიდა...

მე უნდა ვიცოცხლო და ავასრულო ბრძანება ღვთისა...:

ძველი არ კვდება, არამედ მის სტვდის ახალი, უფრო სადი და მშვენიერი...

უცნობმა გრძნობამ გაიღვიძა ყმაწვილის გულში...

მან იგრძნო რაღაც ცვლილება...

იდუმალმა აზრმა გაურბინა თავში და სისხლი აუდუღა ...

გაახსენდა თავისი სატრფო... გიჟივით წამოხტა... მწუხარებით მიმოიხედა ირგვლივ უგულოდ მოავლო თვალი მძინარე მამას, უნებურად აკოცა და გარედ გამოვარდა...

—

„არის ქვეყნად სიყვარული და არ არის ერთგულება“.

ადამიანის ერთგული მხოლოდ სიკვდილია, რომელიც არაოდეს არ ივიწყებს მას და მუდამ მზათაა ხელი გაუწოდოს ცხოვრებაში მოტყუებულს... **ლ. ძიძიგური**

ჩვენი მოღვაწენი

შიო ჩიტაძე (1874-1906) ერთი იმ მოღვაწეთაგანი იყო, რომელთა ცხოვრების მიზანი ერისა და ქვეყნის უანგარო სამსახურია. სამწუხაროდ უბედურმა შემთხვევამ თუ განზრახ ბოროტ-მოქმედებამ ადრე ჩაუქრო სიცოცხლე და მით ჩვენს აღორძინება-წინსვლის საქმეს ერთი თავგამოდებული, მხნე მუშაკთაგანი მოაკლო.

შიო გორელი ღარიბი ხელოსნის შვილი იყო, თავის მეცადინეობით უმაღლეს სასწავლებელს უწია, სასწავლებლის საუცხოოდ დამთავრების შემდეგ რუსეთშივე დარჩა, სადაც საპატიო სახელი მოიპოვა მასწავლებლობით, საზოგადო მოღვაწეობით და მწერლობითაც. 1904 წ. ქართულ გიმნაზიის გამგედ მოიწვიეს; აქ მალე საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა სასწავლებლის საქმის რიგიან დონეზე აყვანით. ამავე დროს იგი მწერლობდა (თანამშრომლობდა გაზ „ცნ. ფურც“ და „შრომაც“-ში ყვავი-ს და სხ. ფსევდონიმებით) და სოციალისტ — ფედერალისტთა მსოფლმხედველობის გავრცელებასა და ამ ჯგუფის ჩამოყალიბებას ძლიერ ხელი შეუწყო.

მაგრამ ხან მოკლე იყო მოღვაწეობა მისი 1906 წ. 4 მკათათვეს, საერთო აღრეულობის ჟამსა, ქართული გიმნაზიის მახლობელი შენობიდან ყუმბარა ესროლეს თბილისის პოლიცმეისტერს მარტინოვს. ამის გამო ალყა შემოარტყეს გიმნაზიის შენობას, გიმნაზიაში საბჭოდ შეკრებილ მასწავლებელთ ყაზახები შეუცვივდენ, ზოგიერთი მათგანი დასჭრეს, ხოლო თვით შიო სასტიკი წამებით მოჰკლეს.

ამ ამბავმა თავზარი დასცა ქართველ საზოგადოებასა და საერთო მწუხარება გამოიწვია. მისმა მეუღლემ ვერ აიტანა და მცირე ხნის შემდეგ თავი მოიწამლა (დარჩათ ორი მცირე წლოვანი ვაჟი). შიოს ცხედარი დაკრძალეს წმ. ნინოს სასაფლაოზე, ხოლო მისი ნამოძღვრები ღრმად გულში ჩაიმარხეს. დღეს, შიოს წამებითი გარდაცვალების ათი წლის თავზე, მოწიწებით იხსენიებენ და აღთქმას სდებენ არ უღალატონ მისგან დასახულ იდეალებს.

თეოფილე ხუსკივაძე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, 35 წელიწადია, რაც ჩვენი ერის წინსვლის საქმეს ემსახურება; მისმა პატივის მცემლებმა 1 მკათათვეს ყვირილაში იუბილე გადუხადეს.

თეოფილე შორაპნელია, იესე მღვდლის შვილი, დაიბ. 1860 წ. 10 იან. სოფ. ველითში, შორაპნის მაზ. ქუთაისის სასულ. სასწავ. სწავლის დამთავრების შემდეგ გორის საოსტატო სემინარიაში 1881 წ. კურსი დაასრულა და მასწავლებლად გამწესდა ყვირილაში, სადაც 14 წ. იმასწავლებლა, 12 წ. ქუთაისის საოლქო სასამართლოში მსახურებდა, ბოლოს მომრიგებელ შუა-კაცად სამეგრელოში.

სცენის სიყვარული მოწაფეობის დროსვე გამოიჩინა: 1877 წ. გორში ნ. გაბუნიას, ალ. თუთაევის, ალ. ნათაძისა და სხ. მონაწილეობით შემდგარ წრეში მონაწილეობდა. (იმერლის როლებს ასრულებდა); ყვირილაში გადასვლისათანავე შეადგინა სცენის მოყვარეთა წრე, მოაწყო სცენა და წარმოდგენების მართვა გააჩაღა *) ქუთაისში სამსახურის დროს

*) ყვირილიდან მის გადასვლის შემდეგ აქ მცირე ხანს კიდევ იმართებოდა წარმოდგენები. მალე საქმე ჩაიფუშა და მხოლოდ თეოფილესივე ნაშეგირდლებმა ვანო არდიშვილმა (აწ განსვენებული), მიხ. გაჩეჩილაძემ, ალ. არაბიძემ და სხვ.ააშენეს თეატრი და საქმე მკვიდრ ნიადაგზე დაყენეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს თეატრი რევოლიუციის დროს ცეცხლმა იმსხვერპლა ავტ

ტორიულ და პედაგოგიურ წერილებს, საბავშო მოთხრობებს და სხ. ყოველი მისი ნაწერი მამულიშვილურ-საზოგადოებრივ მისწრაფებითაა მოსილი.

სთარგმნა პიესები — „ერნანი", ვ. ჰიუგოსი. „განწირული" მისივე, „მამა" სტრინდბერგისა, „საგიჟეთში" დასწერა; „დიდი როსტომ ერისთავი", დრამა და „ზაზასტოვკა", ვოდ. ცალკე გამ-ცემულია: „თხზულებანი", ქუთ. 1892 წ. სათეატრო საქმებს დიდ ყურადღებას აქცევდა, 1904-1905 წ. ხშირად სწერდა რეცენზიებს და დრამატ. საზოგ. ქუთ. განყოფილებაშიაც მონაწილეობდა.

მწერლობა დაიწყო 1881 წ. სწერდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში მოთხრობებს, ის-

[2]) „ეკატირინე ბატონიშვილი," 1895 წ. 3) „ლევან ბატონიშვილი", ისტორ. მოთხრ., 1903 წ. სთარგმნა მალოს საყმაწ. მოთხრ. „უსახლ — კარო", 1904 წ. „მათიკო და მისი გიშერა", შვედ. ზლაპ. 1903 წ. მის ნაწერთა მეტი წილი ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული.

მასწავლებლობით და საზოგადო მუშაკობით კიდევ უფრო საყურადღებოა თეოფილეს მოღვაწეობა! თავის მოწაფეთაგან არა ერთი და ორი სასარგებლო წევრი აღუზარდა ჩვენს ქვეყანას, რომლებიც დღესაც სამშობლოს სამწერლო, სასცენო თუ სალიტერატურო ასპარეზზე მხნედ მუშაობენ..

ვუსურვებთ ჩვენს მწერალ მოღვაწეს დღე გრძელობასა და მხნეობას ჩვენის ხალხის სასიკეთოდ...

მაღლიპულ გზაზე (გაგრძელება) იხ. „თ და ც." № 27

ოქრო. გმადლობთ, კარგადა ვარ, ერთი მანდ რო (ანიშნებს) გაზეთები აწყვია მომაწოდე, დიდი ხანია აღარ გადამითვალიერებია!

ნინო კნეინამ ბრძანა, ნულარ მისცემ, გაზეთის კითხვით ძალიან სუსტდებაო...

ოქრო. მომაწოდე!

ნინო. (მოუტანს) აი, ინებეთ, წამოისხით მაინც. არ გაცივდეთ! (შალს წამოასხავს და მერე ისევ თავის ადგილზე დაჯდება)

ოქრო. (ნელ-ნელა დაიწყებს გაზეთის თვალიერებას. ცოტა ხნის შემდეგ რაღაცას დააკვირდება, ხარბად დაიწყებს კითხვას, აღელდება კიდეც, ეტყობა რაღაც ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. პაუზა. შემდეგ დაიწყებს ხმა მაღლა კითხვას. ტუჩებზე ღიმილი მოუვა), „ამ სამი დღის წინად თბილისში ჩამოვიდა სამზღვარ გარედ მყოფი ჩვენი ნიჭიერი სახელ-განთქმული მხატვარი ქალი, ქეთევან დიდებაშვილისა; ჩამოხტა ორიანტის სასტუმროში თავის ქმარშვილით. ერთი თვის შემდეგ თავის სოფლისკენ წავა". (ღიმილით, ხოლო სეგდიანად) მოსულა! (სახეზე სიხარული და ნაღველი, მწუხარება ეხატება) „ქეთინო ქმარშვილით! ოჰ, რა საგრძნობია ეს უკანასკნელი სიტყვები! ბედნიერო ქმნილებავ! შენ მოსულხარ რათა შორიდან მაგრძნობინო შენი ლირსება, შენი მშვენიერება და მითხრა: „მიყურე, საბრალოვ, და დაიტანჯე ჩემი ბედნიერებითაო!"

II

მაკინე და ოქრო

მაკინე. (შემოვა. სამგლოვიარო შავები აცვია. ეტყობა სადღაც ყოფილა. მეტად გამხდარა, სრულიად გამოცვლილა, მკაცრ გარემოებას წაურთმევია სილამაზე, სიმშვენიერე თითქმის დაბერებულა კიდეც)

ოქრო. სად იყავ, მაკო?

მაკ. ექიმთან, მ გრამ შინ არ დამიხვდა. კიდევ მომიხდება წასვლა. მაპატიე, შენი ჭირიმე, რომ მარტო დაგტოვე.

ოქრო. არა უშავს რა. ახალი ამბავი არა გაგიგია რა?

მაკ. რა, გენაცვალე?

ოქრო. ის მოსულა!

მაკინე. (გაფიცრდება) ვინ ის?

ოქრო ქეთინო, ჩვენი მხატვარი ქალი! არ წაიკითხე გაზეთში?

მაკინე. (აღელვებული) ოქრო, გენაცვალე, მითხარი, გინდა იმისი ნახვა?

ოქრო. მაკო, მაპატიე... გულსა სწყურიან, თუმცა გონება ეურჩება...

მაკ. ქეთინოს ნახვა?

ოქრო. ჰო, მაკო, მისი ნახვა ისე მინდა,

ერეკლე ჯაბადარი არა თუ ჩვენს სამუსიკო ასპარეზზე—უცხოეთშიაც საპატიო სახელს იხვეჭს. იგი შვილია ჩვენში ცნობილ გამომცემელ მოღვაწის ალექსანდრე ჯაბადრისა. ერეკლ ჯერ კიდევ ბავში წავიდა ევროპას (ამ ჟამად ლოზანაშია), სადაც მუსიკალურ განათლებაგანვითარებას ბეჯითად შეუდგა, და მეხუთე წელიწადია სამუსიკო ასპარეზზე მოღვაწეობს.

ამ ჟამად დაუწერნია ახალი სამი დიდ მოქმედებიანი ოპერა საქართველოს ცხოვრებიდან, სახელად „გულნარა". ოპერაში უმთავრესად ორი ძლიერი მომქმედი პირია—ქართველი ქალი გულნარა—მომავალ დემოკრატიულ საქართველოის და მშვიდობიანობის განსახიერება, ლევანი საქართველოს წარსულის რაინდობის გამომხატველი. მეუღლენი ჯაბადარნი ოპერას თურმე გერმანულად სთარგმნ. შემდეგ მაჯიარულად ფიქრობ. გადიღონ. მცოდნე პირთა მოწმობით ეს ნაწარმოები ფრიად საყურადღებოა, ქართველ ხალხის მუსიკალური სულით გაჟღენთილი, კლასიკური მუსიკის კანონთა თანახმად შედგენილი; უსახსროობისა გამო ჯერ კიდევ გამოუცემელია. უცხოეთის გაზეთები და ცნობილი პირნი ხელერთპირად აღნიშვნენ ერეკლე ჯაბადრის მაღალ ნიჭიერებას, მუსიკალურ კულტურას, დიდ ცოდნას.

ვუსურვებთ ჩვენს თანამემამულეს, სრლს გამარჯვებას: სამშობლო მუსიკის აღორძინებასა და მსოფლიო მუსიკაში ღირსეული ადგილის მოპოვებას.

იოსებ არიმათიელი

როგორც სიბნელისაგან სულმიხდილ ქვეყანას ენატრება მზის სხივი: იმან სიცოცხლე მომიშხამა, მაინც ვგრძნობ, რომ ჩემი სიცოცხლეა და აგრეთვე სიკვდილიც...

მაკ. რახან აგრეა, მას ნახავ! (შუბლზე აკოცებს ოქროს)

ოქრო. მცრე როგორა, მაკო? ის ხომ ბედნიერია! ხომ კმაყოფილია და მოხარული თავის ქმარშვილითა? მან არც კი იცის, თუ სადმე მიყრუებულ ქალაქის კუთხეში სულ-შეხუთულ ოთახში სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ებრძვის მისი მოთაყვანე!

მაკ. (სხეული ემანჭვის, თუმცა არაფერს იმჩნევს) იქნება ქეთინოც შენსავით იტანჯება ოქრო? იქნება მასაც ახსოვხარ, იქნება ისიც... ისიც ნანობს თავის საქციელს და წინანდებურად უყვარხარ კიდეც?!

ოქრო. (თვალები გაუკანიერდებ მის სიტყვებზე) ჰა? რა სთქვი, მაკო?! „იქნება მას ისევ უყვარხარო?" ისევ ვუყვარვარ?! მერე რითი დაამტკიცა თვისი სიყვარული? მასში შებრალებაც არა ყოფილა... გინა მოსიყვარულე გული მოითმენდა ამ ექვსი წლის განმავლობაში ერთხელ შორიდან მაინც არ დამნახვოდა? შენ კი ამბობ იქნება უყვარხარო? (ბაუზა) ან კი რაში უნდა ვყვარებოდი? ჩვენ შორის საერთო არა აღმოჩნდარა, თუმცა ის ხანა, რაც მას ვუყვარდი, ვეტრფოდი, ჩემი თავი დამეყენებინა იმ სიმაღლეზე, რა სიმაღლიდანაც ის გადმოიყურებოდა, ის სიმაღლე იყო წუთიერი, მოჩვენება, ლანდი, გაჰქრა და ისევ წყვდიადში დავრჩი! ციური მშვენება, გაფრინდა ისევ ზეცაში. იშვიათმა ჭეშმარიტმა ღირსებამ ჩვეულებრივ სიკვდილის შვილთან აღარ დაყენა... (ახვევებს) დაკარგულმა ნეტარებამ, ხალხის უმადურობამ ძირს დამსცა, მაღალ აზრების, შრომისაკენ შემფრინავი სიცოცხლით აღსავსე ვაჟკაცი და ზედ მეტ ადამიანად გარდამაქცია! რავდენი ღამე გამიტარებია იმ ოცნებით, თუ ბოროტებას როგორ შევჭიდებოდი მას, ხელში ვიგდებდი, გველსავით გავსრესავდი! მძაგდა ტრაბახი, ბაქიაობა, დღეს კი მისი ადგილი მე დავიპირე! რის ღირსი ვარ? რასაკვირველია, დამცირებისა, ძრახვისა და შეჩვენებისა... მამული, რომელიც მსახავდა საქართველოს შვილად, დამეკარგა, ხელიდან გამომეცალა! სიყვარული, რომელიც ჩემში განამტკიცებდა აღფროვანებულ ხელ-შეუხებელ გრძნობა-სიყვარულსა, წამერთვა; სამაგიეროდ გულში დამიტოვა სამსალა! ქეთინო? ჩვენი ქვეყნის სიქადული ქეთინო კი პირდაპირ თვალებში უყურებს ყველა თანამემამულეს და ეუბნება: მე ვარ შენი ძალა, მე ვარ შენი შვენებაო... მაშ ქეთინოს რად ვეყვარებოდი და ან მეტადრე ახლა რაღად ვეყვარები, მაკო?

კავკასის ქედი

დაფიქრებულა კავკასის ქედი,
დაფიქრებულა ვით ლეონიძე:
იქნებ არ მოსწონს ქართველთა ბედი,
იქნებ არ მოსწონს ივერთა სიძე...
— არ ვიცი, არა! მაგრამ ვიცი რომ
მთანი მყინვარნი ალმასდებიან:
რომ ვერ დაადნო მათი გული დრომ
და ახალ ღმერთებს ელოდებიან!..

სიმ. წეველი

სიხმარი სანგრებში

(მოთხრობა)

(გაგრძელება. იხ „თ და ც." № 27)

კიევის ერთ-ერთ ლაზარეთში მორიგედ ვიყავი, რომ დაჭრილების ერთი „ეშელონი" მოიყვანეს. დაჭრილები ვაგონებიდან საკაცეებით გადმოჰქონდათ და ერთ ოთახში იატაკზე მწკრივად აწვენდენ დაჭრილებსა. მათს ვინაობას, პოლკს და სხ. ვიწერდი და გამეხარდა, როდესაც იმოდენა დაჭრილებში ქართველიც აღმოჩნდა.

— გამარჯვება!—გამოვეხმაურე დაჭრილსა.

გაკვირვებულმა თვალები დააჭყიტა და მომაშტერა. ძალიან გაუკვირდა ქართული

მაკ. (აუწერელი ტანჯვა გამოეხატება სახეზე ებრძვის თავის თავს) ოქრო, შენი ჭირიმე, აგ ფიქრებს-თავი დაანებე! რაზედ იმცირებ თავსა, შენ წმიდა ხარ, ჩემო კარგო, ყოველივე ეგ, რაც ახლა შენ წარმოსთქვი, არ ეკ უთვნის, რადგან არა ხარ დამნაშავე.

ოქრო. არა, მაკო, მე კარგად და ნათლად ვგრძნობ ჩემს დანაშაულს. (ბაუზა)

მაკ. გენაცვალე, ოქრო, კიდევ უნდა დაგტოვო ცოტა-ხანი მარტო· ღვიმთან მივალ, რომ არ გამისწროს. უნდა შევატყობინო შენი ცვლილება და მოვიყვან კიდეც

ოქრო. კარგი. წადი.

მაკ. ნინო, აქ იყავ, არ მოშორდე ოქროს, ყური უგდე, მეცეხლავე დავბრუნდები. (გადის)

ოქრო. (ფიქრი წაიდებს. ბაუზა) საბრალო დაო! შენი სიყვარული საფლავშიაც ჩამყვება... არამც თუ სიყვარული, შენი დარდიც თან გამყვება. (შემოდის მისი ძმა ტიტიკო)

III

ტიტიკო და ოქრო

ოქრო. (ახვედებს, შემდეგ წამოიწევს უნდა ნახვედი ამოიდოს)

ტიტიკ. (შემოგვა) დაიცა, ოქრო, მე მოგაწვდი, (მიუახლოვდება და მიაწვდის ტასტს) როგორ ხარ, ჩემო ძმაო?

ოქრო. მაკო ხომ მარტო ხარ? ღვთის გულისათვის, თავი დაანებე!....

ტიტიკო. ოქრო, აბა მაღლა აიღე თავი, შემომხედე ვინა ვარ!

ოქრო. (მიაჩერდება და რომ იცნობს შესძახებს) ტიტიკო, შენა ხარ? (ერთმანეთს გადაეხვევიან) როდის მოხვედი?

ტიტიკო. ეს არის ახლა, ჩემო ძვირფასო, როგორ ა აგრე მარტოკა დარჩენილხარ?

ოქრო. განა ღირსი არა ვარ სრულიად თავდანებებისაც? შენა? განა მაპატიე ჩემი შეცდომა? აკი, ტიტიკო, შენი ძმა აღარავარ, აღარც მეზობელი... ჩემს სამაგიეროდ ვიღაც უცხოელი დაგისახლე... და შეიძლება ჩემგვარ ხალხის წყალობით გაგიმრავლდენ იმისთანა მეზობლები, და თქვენ კი ფეხის მოსაკიდი ნიადაგი აღარ დაგრჩეთ! და ამისთანა შემცოდესთან როგორ მოხვედი?

ტიტ. რა დროს მაგაზე ლაპარაკია?! კარგა იყავ, იცოცხლე და ყველაფერი შენ გენაცვალოს. რაც იყო—წავიდა, ჩემო კარგო.

ოქრო. მაშ ჩემ შეცოდებას მაპატიებ?

ტიტ. გაპატიებ, ოღონდ... დამშვიდდი (ბუდი ამოუჯდება და სდუკ-სდუკებს) კარგა გახდი მალე... წამოდი... განომ დამაბარა, ამ ორ დღეში უსათუოდ უნდა ამოიყვანოვო... თუმცა შენი მამული გაიყიდა, მაგრამ სამაგიროდ ჩემი იქ დაგხვდება, შეიმუშავე, როგორც გინდოდეს, რაც აზრში მოგვიდეს შეასრულე, ჩემო ძვირფასო!

რომ გაიგონა. ბოლოს გამოირკვა და »გაგიმარჯოსო« მითხრა.

— როგორ მოვიფიქრებდი, რომ აქ ქართველი ვინმე იქნებოდა. იქ »პოზიციაზე« იშვიათად თუ ვნახავდი ვისმეს და აქ თუ შემხვდებოდა ქართველი, არ ვიცოდი,— დარცხვენით გამომელაპარაკა.

— სახელი შენი, ვკითხე.

— თედო, მარინაშვილი გვარად.

— გადავწერ ყველასა და ისევ მოვალ შენთან,— უთხარი და გადაწერა დავაჩქარე.

დაჭრილებს მსახურებმა სისხლსა და ტალახში მოსვრილი, მწერებით სავსე ტანსაცმელი გახადეს და აბანოში შეიყვანეს ტანის დასაბანად; შემდეგ ჭრილობები შეუხვიეს ექიმმა და მოწყალების დებმა და »პალატებში« მოათავსეს. საბრალოებს ცალკე ჭრილობა და ცალკე დაღლილობა აწუხებდათ— მთელი ოთხი დღე »რახ-რახა« ბარგის ვაგონით მოდიოდენ; ახლა კი ცოტას მოისვენებდენ საბრალონი!

მეორე დღეს თედო ვინახულე. მიცნო. ჩემი დანახვა გაეხარდა.

— როგორა ხარ: დავეკითხე.

— ფეხი მაწუხებს, და არ მიძინია,— შემომჩივლა.

— არა გიშავს-რა, მალე მორჩები,— ვანუგეშე.— ქართული კითხვა ხომ იცი?

აი ქართული გაზეთები და წიგნები მოგიტანე, როცა მოგეწყინოს, წაიკითხე.

თედოს ძალიან გაუკვირდა. როგორ, მის სოფელში, საქართველოში ქართული წიგნი

ოქრო. გმადლობთ ძმაო, მაგ თანაგრძნობისათვის... მაკინეს თავს ვერ დავანებებ... ცოდოა, ნახე რა რიგად იტანჯება და წვალობს! ახლა მაინც შეურიგდი, ჯავრად ნუ ჩამაყოლებ საფლავში..

ტიტ. ოქრო, პატიოსნებას გეფიცები, რომ მე მას შეურიგდები, ოღონდ შენ კარგად გახდი, კმაყოფილი იყავ და იცოცხლე.

ოქრო. გმადლობ დიდად.

ტიტ. ოღონდ შენ მალე ადექი, რომ წაგიყვანო შინისკენ. იმდენი მამული მაქვს, იმდენი მოვლა და ყურის გდება უნდა, რომ მე სად შემიძლიან.წამო, მომეშველე შენ ერთი ორად წინ წასწევ ჩემს საქმეს. მაკინეც ჩემთან წამოვიდეს. რა ვუყოთ, რაც იყო ჩვენ შორის უნდა დავივიწყოთ! იმანაც დიდი დარდი გამოიარა: გაღარიბება, ქმრის უეცარი სიკვდილი, ახლა შენი ავადმყოფობა? უნდა გაპატიო, მოვალე ვარ, როგორც ძმა! მაგრამ ყველაზე უფრო შენი მოვალე ვარ, ძვირფასო! ცოტა უკეთესობას დაატყობ თუ არა შენს თავს, მაშინვე გავწიოთ ჩვენი სოფლისკენ. იმისი ჰაერი მალე დაგიბრუნებს ჯანღონეს, გაგამაგრებს, კვლავ ღონე მოგემატება, გამოკეთდები! ისევ ის ოქრო იქნები!

ოქრო. (სევდიანად) ველარ, ტიტიკო, ველარ! შენი ოქრო დამარხულია, მორჩა, გაჰქრა ჩემი ოცნება, გასწყდა ჩემი სიცოცხლის ძაფი! ცხოვრების ბორბალი გადატრიალდა, ვარდ-ყვავილით მოფენილი ბილიკი სამოთხისა, რომელზედაც დავიარებოდი, სადღაც მიმემალა! მავნე ბოროტმა სულმა ხელი მკრა და სწორე გზიდან უფსკრულში ჩამიძახა! (შემოდის მაკინე ტიტიკოს რომ დანახავს, შეკრთება)

VI

ოქრო, ტიტიკო და მაკინე.

მაკ. (შემოგვიდა)

ოქრო. მაკო, საცოდავო! ცუდათა ვარ, მაზიარე. (ხვევა აუკრდება)

მაკინე (სახე დაემანჭება)

ოქრო. მაკო, ამისრულე თხოვნა, შეურიგდი, ვინც შენ წინა სდგას!

მაკინე (სწრაფად მიხედავს ტიტიკოს. გაექანება და ყელზე მოეხვევა) მაპატიე ძმაო, შეიბრალე ცოდვილი მაკო, შენი უბედური და! (ქვითინებს)

ტიტ. (ტირილით) მიპატიებია!...

მაკ. ოქრო! წელან, რომ თავი დაგანებე, იცი ვისთან ვიყავი.

ოქრო. ექიმთან.

მაკ. არა. ექიმთან ახლა ვიყავ, წელან კი ქეთინოსთან! შინ არ დამიხვდა და წერილი დავუტოვე.

(დასასრული იქნება)

რომლის კითხვა ძალიან უყვარდა. იშვიათი მოვლენა იყო და აქ, რუსეთში განა მოიძებნება სადმე?!

მე აუხსენი აქ ქართველი სტუდენტებია ბლომად მეთქი და მათ მოსდით საქართველოდან.

— ებეი, მე მეგონა ამ ქალაქში ჩემს მეტი ქართველი არავინ იქნება მეთქი და უყურე შენა: ქართული წიგნებიც კი ჰქონიათ,— უკვირდა კიდევ თედოსა.

— როგორ მოგეწონა გაზეთი და წიგნი?—დავეკითხე თედოს ერთ დღესა.

— გაზეთისა ბევრი ვერ გავიგე, წიგნიკი კარგი იყო ჩვენებური სოფლელი ბიჭის ამბავი იყო ნაამბობი.

ცოტა ხანს გაჩუმდა და მერმე დამეკითხა:— ერთი ამიხსენი, შენი ჭირიმე, საიდან გაიგო ამ წიგნის დამწერმა ჩვენებური ამბავი თუ ჩვენებური არ არის? მაგრამ ვინ არი ჩვენ სოფელში რომ ესე ლამაზად დასწეროს?

საშინელი ცნობის მოყვარე იყო თედო, ბევრ რამეს მეკითხებოდა და მეც ვცდილობდი მდაბიურად ამეხსნა მისთვის ყველაფერი.

— ეს ოხერი ცოდნა რა კარგია!—ნაღვლიანად იტყოდა.

— მართლა, სულ მინდა გკითხო და მავიწყდება: შენ რა ხელობისა ხარ?

— მე სტუდენტი ვარ, ექიმობასა ვსწავლობ აქა.

ამიერიდან უფრო დიდის პატივისცემით მეპყრობოდა თედო და ყოველთვის „დოხტურს“ მეძახდა.

ასე სამ თვეს ყოველთვის ვნახულობდი თედოს. ჩემი ნახვა, წიგნების კითხვა ძალიან უხაროდა, მაგრამ გაუნძრეველად წოლა მეტად მოჰბეზრდა. ჰაერზე გაიწევდა მისი ნორჩი სული, მაგრამ სიარული არ შეეძლო. მეხეთე თვეზე რჩენაში შევიდა და ყავარჯნებით სიარულს ახერხებდა. ზამთარი იყო, მისი გარეთ გამოსვლა არ შეიძლებოდა. იძულებული იყო ოთახებსა და „კარიდორში“ ესეირნა; ესეც არ აკმაყოფილებდა თედოს: „ჰოზიციებზე“ წასვლა მოენატრა, შემდეგ ნატვრა სურვილად გადაექცა და მოლოდინში იყო, მოვრჩები და წავალ საომრადო. ძველი ამხანაგების ნახვა სწყუროდა.

სრული ექვსი თვე შეუსრულდა თედოს, რაც ლაზარეთში იმყოფებოდა, ფეხი კარგა მოურჩა. ამიტომ ისევ „ჰოზიციაზე“ გასწერეს.

თედო სიხარულით დაუბრუნდა თავის როტას, მაგრამ რა იწუხა, როცა მისი ძველი საუკეთესო ამხანაგები ზოგი მოკლული იყო, ზოგი დაჭრილი და ტყვედ წაყვანილი; მათ მაგიერ ახლებით შეევსოთ როტა.

(დასასრული იქნება)

მირ. ხარხელი

წერილები მეგობართან

ქართველ მუსულმანების შესახებ

რაც მსოფლიო ომი დაიწყო, ქართველ მუსულმანებსაც დაებადათ წყურვილი ომის ამბების შეტყობისა. მათ შორის გაჩნდა ქართული გაზეთების მკითხველთა ჯგუფი. ქართულმა გაზეთმა გზა გაიკვლია სამაჰმადიანო საქართველოში, მოიპოვა თანაგრძნობა, რაც მოწმობს ქართველ მუსულმანების გამოფხიზლებას.

აქაურ ქართველ მუსულმანებს ჩვეულებად აქვსთ გაზეთის დაკეცვა იმ სახით, რომ სახელი გაზეთისა გამოჩნდეს. ჩაირჭობს ყაბალახში, რომელსაც არც სიცხეში და არც სიცივეში იგი თავითამ არ იშორებს ბრუნდება სახლში მატარებლით, ცხენით, ან ფეხით, ბრუნდება და თან მიაქვს ყაბალახში ჩარჭობილი საყვარელი გაზეთი. უფრო ეინტერესება ის გაზეთი, რომელშიც რაიმე სწერია იმის ქვეყნის შესახებ. ძალიან პატივს სცემენ გაზეთ „საქართველო“-ს და „სახალხო“ს, რადგან მათში ხშირად სწერია წერილები აჭარის შესახებ. მოგვისმენია მათი საუბარიც ქართულ გაზეთების მიმართულების სხვადასხვაობის შესახებ. ერთმა მოხუცმა სთქვა გულახდილად:

— „მაგი მე არ მესმის: აო ვიცი რაია წოწიალისტი, პედერალისტი, დემოკრატი. მე ბატონო, მომეცი ქართული გაზეთი, რომ შევიტყო, იქ რა სწერია, ისეთი, რომელშიც მთელი ქვეყნის ამბების გარდა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საგაზრდილოს ამბებიცაა“...

ამას ამბობდა, როგორც ვსთქვი, ერთი

მოხუცი ჩვენი თანამოძმე რკინის გზის ოთახში, და იმავე დროს ქართული გაზეთი ჩარჩობილი ჰქონდა ყაბალახში.

ახალგაზრდები ხარხარებდენ.

— ოსმან! მე ვიყიდე „საქართველო“, ხასანმა „სახალხ გაზეთი“, შენ „აზრი“ იყიდე, და სამივე წავიკითხოთ.

მართლაც სამი ერთი სოფლის ქართველი მუსულმანი სხვადასხვა ქართულ გაზეთით ჩაქვისკენ მიემგზავრებოდა, ისე კი რომ ყაბალახში ჩარჩობილ გაზეთების სახელები ნათლად მოსჩანდა. ეშმარიტად შეუძლია აქაურმა ქართველმა მუსულმანმა სთქვას: „მე ვარ და ჩემი ყაბალახი გამთენებელი ღამისა“

შენი **ჩაქუჩი.**

მე ლტოლვა მინდა!..

წუხელ მთელ ღამით ქარიშხალი რისხვით დაჰქროდა,
მთა-ბარს და სახლებს აწყდებოდა ველურ ქვითინით,
ხანაც მძლავრ ფრთებით დედამიწის მკერდს გაეკვროდა,
ლეწდა ყველაფერს აღტყენილი ნგრევისა ჟინით..
ჰა, ჩემს ოთახის კარს მოაწყდა, უცებ გაჰღუნა,
სწრაფლ გაარღვია, შემოიჭრა და დაიგმინა,
რაღაცა სძებნა, ყველაფერი გადმოაბრუნა,
და გაჰქრა სადღაც, ვერსად ჰპოვა ლტოლვილმა ბინა...
ვერ დავიძინე: ქარის ფრთებმა ამაცახცახა,
ვით ალეანდრა, ვით მიმოზას უსუსური რტო,
და რაღაცა ხმამ, იდუმალმა ყურში ჩამძახა:
„ამ ქარიშხალთან შენს სულს ბევრი რამ აქვს საერთო,
შენი სულიც ხომ ლტოლვილია, როგორც დემონი:
დროსა და სივრცის ზღვაში დაჰქრის ვით ქარიშხალი,
ვინ უწყს რავდენი დაანგრია კერპთა ბომონი,
ღმერთი ხომ მაინც ვერ იხილა, ვერ მოჰკრა თვალი;
ვინ იცის რავდენ საიდუმლოს შეუღო კარი,
ყოფნის აზრისთვის ნათელი რომ გარს მოეფინა,
როგორც დემონი, მაინც დარჩა მიუსაფარი,
ვით ქარიშხალმა ვერსად ჰპოვა სავანე, ბინა“...
მიყურჩდა... და მე ხმას იდუმალს ასე შევსძახე:
თუ ქარიშხალი მოიწყვდევა, ვსთქვათ, ჰპოვა ბინა,
ხომ დაედება მის მძლავრსა ფრთებს ბორკილი, მახე,
ხომ ვერ იქროლებს, ხომ მოკვდება, ხომ მიიძინა!..
არა, ეს არ მსურს! დე, ვერ ვპოვ ვერსად დმერთი, რო ღა'
არც იმას ვეძებ, სული თუ ვერ დაისადგურებს,—
მე ლტოლვა მინდა, ლტოლვა მძლავრი, ქარიშხალივით,
მე ის მაცოცხლებს, და თვით იგი გამანადგურებს..

ი. სიხარულიძე

მგზავრის წერილები

(ექსკურსია მცხეთას)

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა“...

გრ. ორბელიანი.

კვირას, 12 თებერვალს, ქართულ კულტურის მოუყვარულთა საზოგადოების თაოსნობით და ისტორიკოსის მოსე ჯანაშვილის ხელმძღვანელობით შესდგა პირველი ექსკურსია ამ საზოგადოებისა მცხეთას.

გავემგზავრეთ დილის მატარებლით. დაწერილებით დავთვალიერეთ ოდესლაც დიდებული ჩვენი დედაქალაქი. სადგურიდან გზით მიმავლებმა, სხვათა შორის, ვინახულეთ: ძველი ნაშთი ხიდისა, ეკრედ წოდებული პომპეოსის ხიდი, არსენას სოფლავი, ნაშთები ძველი სუდრებისა ანტიოქიისა, ბეთლემისა და სხვ.

მცხეთა უწინ რო ფრიად დიდი ქალაქი იყო ეს იქიდანაც სჩანს, როგორც ბ. მ. ჯანაშვილმა აგვიხსნა, რომ იგი რაგდენიმე უბნად ეყოფილა დანაწილებული: მისს დასავლეთს უბანს ერქვა კოდმანი, ჩრდილოეთისას—ქინძარი, აღმოსავლეთისას—წიწამური, ბორცვი (ბორცვის ჯვარი შემდეგში) და კარსნი ანუ კარსანი, სამხრეთისას—არმაზი და ციხე დიდი.

მერე მოწიწებითა და კრძალვითა შეუდექით დიდებულ სვეტიცხოვლის ტაძრის დათვალიერებას. დღემდე კედლებზე დარჩენილა რაგდენიმე ისტორიული პირის სახე: ვახტანგ გორგასლანისა, ამ ტაძრის პირველი აღმშენებლისა, რომელსაც კათალიკოსი სამეფო გვირგვინს აღგავს (ზოგის თქმით ერეკლე მეორე უნდა იყოს), მარიამ დედოფლისა, როსტომ მეფის ცოლისა, რომელმაც ტაძრის გუმბათი გაანახლა და მისი შვილის ოტიასი (ზოგნი ფიქრობენ დუარსანი უნდა იყოსო; ბ. მ. ჯანაშვილი პირველ აზრს აგია).

საინტერესო სანახავს წარმოადგენს აგრედვე ეგვლაზე შესანიშნავი მხატვრობა სამხრეთის კედელზე—ვრცელი სფერო ზოდიაქონების ნიშნებით: სურათი წარმოადგენს მსოფლიო ცხოვრებას 188 და 150 ფსალმუნის ჭანგზე: „აქებდეს უფალი სული უფალსა“... და სხვ.

ინტერესს მოკლებული არ არის აგრედვე ჭა, რომელიც იმყოფება ამავე ტაძარში, საკურთხევლის გვერდით—აღმოსავლეთით; ვიგემეთ მისი წყალი, ცივი ანკარა და საამური გემოსი; ეტყობა უწინ, მითი ომიანობის დროს სარგებლობდენ. როცა აქაურობას უკვირდებით, ნათლად ამჩნევთ, რომ ამ ტაძარს მზრუნველი და საუკარელი ხელი აკლია, რაც ჩვენი უკულტურობითა და დაუდევრობით აიხსნება! აქ განისვენებენ: ვახტანგ გორგასლანი, დავით დაშას-ძე, დიმიტრი თავდადებული, დიდი დუარსაბ, მეფე აღექსანდრე, ერეკლე დიდი, გიორგი XII, მისი ცოლი მარიამ დედოფალი, მედქისედეკ კათალიკოსი, ანტონ პირველი და სხ.

დავთვალიერეთ გარე ტაძრის ჩუქურთმები. შემდეგ ვინახულეთ სამთავროს ტაძარი (დედათა მონასტერი), რომელიც გარეგნობით, შენობით და ჩუქურთმებითა ძლიერ ჰგავს სვეტიცხოვლისა. აქ არის მონასტრის დედათა სასწავლებელი. ამ ტაძარშიეგე მარხიან პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფალი მირიანი და ნანა. აქვე არის პატარა ეკლესია, ს

ამ დროს უცბად თავს დაეცა უფრო მრავალ რიცხოვანი, ქურდულად შემოპარული ლეკთა რაზმი; ვინაიდან ქეთევანის ბანაკში არავინ აღმოჩნდა რომ მეთაურობა ეკისრნა, თვითონ ქეთევანმა ითავა წინამძღოლობა-სარდლობა და ბრწყინვალედაც გაიმარჯვა ლეკებზე. ეს ამბავი, რასაკვირველია, მაშინვე აცნობეს მეფე ერეკლეს, რომელიც დიდის ამბით შეეგება მამაც დედოფალს, ზარბაზნის სროლით და დიდის ზეიმით მიუძღვა ქალაქში. ნიშნად დიდი სიხარულისა, ქალაქი გაჩირაღდნებულ იქმნა...

ბელტის ციხის სიახლოვეს ვინახულეთ ძველის-ძველი აკლდამა-საფლავები.

კიდევ ბევრი საგულისხმო რამ გავიგეთ მცხეთის შესახებ ბ. მ. ჯანაშვილისაგან, მაგრამ ადგილის სიმცირის გამო, იძულებული ვართ ამით დავკმაყოფილდეთ.

წამოსვლისას დავათვალიერეთ სამხატვრო-ქერამიკის სკოლა, რომელიც 1912 წ. დაარსებულა სახალხო სამინისტროს მიერ; სადაც სწავლობს 16 მოწაფე, ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის მკვიდრთა შვილი. აქ ბევრი საინტერესო, მრავალნაირი ჭურჭელია თიხისაგან გაკეთებული, ფაქიზად და ლამაზად გამოყვანილი; ზოგი ერთი მათგანი ოსტატმა ათი თუმანი და მეტიც დააფასა; რასაკვირველია, არის იაფ-ფასიანიც

ამ ექსკურსიამ (მონაწილეობდა 60 სულამდე, ორივე სქესისა) ჩინებულად ჩაიარა. დიდათ ნასიამოვნები ექსკურსანტები სადამოს—დაბინდებისას უკვე სახლში ვიყავით.

ერმალოზ კახი

დ. ხონის თეატრის საზაფხულო სეზონი დაიწყო შაბათს, 18 თიბათვეს. ხონის თეატრის არსებობის ათი წლის შესრულების აღსანიშნავად ამ დღეს გაიმართა სადღესასწაულო წარმოდგენა. დაიდგა დ. ერისთავის პიესა „სამშობლო“ წარმოდგენის დაწყებამდე ილ. რუხაძემ მოკლედ გააცნო დამსწრე საზოგადოებას ხონის თეატრის მოკლე ისტორია. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ აქამოწვეული მსახიობნი მ. მდივანი, ო. ღოღობერიძე, მ. ნემო, ალ. ყალაბეგიშვილი, ა. მურუსიძე და ადგილობრივი სცენის მოყვარენი.

კვირას, 19 თიბათვეს, გაიმართა მეორე წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა: „სოფლის ექიმი“ დრ. 2 მოქ. თარ. მეგრელისა და „სიმართლე“, ვოდ. 1 მოქ. თარ. მ. ქორელისა.

შაბათს, 25 თიბათვეს, ადგ. დრამ. დასმა მესამე წარმოდგენა გამართა. წარმოადგინეს კომ. „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ მონაწილეობდნენ ქ-ნნი მ. მდივანი, ო. ღოღობერიძე, ბ-ნნი მ. ნემო, ა ყალაბეგიშვილი. წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა ეტყობოდა, მსახიობნი და სცენის მოყვარენი, განსაკუთრებით ლ. მებუკე და რ. წივწივაძე, სერიოზულად მოკიდებოდნენ თავიანთ როლებს. ხალხი ბლომად დაესწრო და დიდათ ნასიამოვნებიც დაიშალა. 25 თიბათვეს წარმოადგინეს დრ. ფრანგულიდან ნათარგმნი: „ზღვასთან“. წარმოდგენამ ვერ დასტოვა მოსალოდნელი შთაბეჭდილება: სხვათა შორის როლების უცოდინარობით მოისუსტებდნენ. ამ გარემოებას საჭიროა რეჟისორმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს. დაბოლოს წარმოადგინეს ვოდ. „ექიმის ჰონორარი“. ხალხი, როგორც წინა წარმოდგენებზე, ამასაც ბევრი დაესწრო.

გ. ხონელი

დ. სურამის საზოგ. საკრ. საზაფხულო სცენაზე შალვა დადიანმა წარმოადგინა პატარა მარტივი ორ მოქმ. პიესა ბრანდესისა „სტუმარი“, პიესა უბრალოა, მაგრამ დიდის გულისხმიერობით იქმნა მოსმენილი საზოგადოების მხრივ. რათ უსმენდენ მაყურებლები ასე გულმოდგინედ? იმიტომ რომ დადიანის მიერ პიესა მართლაც გამოყენებული იქმნა ისე, როგორც საჭიროა. წარმოდგენის დაწყების წინ ბ-მა დადიანმა ამ პიესის შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა განმარტა პიესა, გააცნო საზოგადოებას ავტორის ვინაობა; ილაპარაკა თანამედროვე ოჯახზე, დედაკაცის მდგომარეობაზე ამ ოჯახში და სხვა მრავალი საგულისხმიერო აზრი იყო ნათქვამი როგორც ავტორა დედაკაცსა და ოჯახზე, ისე პიესის მხატვრულ მხარეზე. ამ განმარტების შემდეგ და

იწყო წარმოდგენა, თვითონ ბ-ნი დადიანი კაის როლს ასრულებდა, კაის ცოლისას—ელო ანდრონიკაშვილი. როლებს ასრულებდნენ ბუნებრივად, მოხდენილად. სცენა კოპწიად იყო მორთულ მოკაზმული, მიუხედავათ იმისა რომ პატარა სცენაა კარგი იქნება, სურ. დრამ. საზ. ისარგებლოს საზაფხულოთ აქ ჩამოსული მსახიობებით და წარმოდგენების სამართავად მიიწვიოს; დადიანი დაანახვებს ყველას, რომ სურამის პატარა სცენაზედაც (როგორც დრ. საზ. წევრები უწოდებენ) შეიძლება რიგიანი წარმოდგენების გამართვა. საზოგადოება მრავალი დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა, რადგანაც სულიერ განცდასთან ერთად, მან გონიერული საზრდოც მიიღო. იმედია დადიანი კვლავაც გაგვიმართავს ამნაირ სასარგებლო წარმოდგენას რეფერატ მოხსენებებით. სწორედ სამაგალითოა..,

მილოზი

სახელოსნო კლუბი—ეს სიტყვით მისაზიდი დაწესებულება საქმით საყომარბაზო და ხალხის საყვლეფავი მახეა. აქ საზოგადოებას არავითარი სულიერი საზრდო არ ეძლევა; მიუხედავათ იმისა, რომ ლოტონარდსა და ბუფეტში დაუნდობლად იყვლიფება ხალხი კლუბსა და თეატრში შესასვლელათაც-კი განსაკუთრებული ფასია დაწესებული. ამ გვარად ყველა შემსვლელი მუშა-ხელოსანი იძულებულია ერთი-ორად იხადოს ფასი, რათა მთელი კვირის შრომისაგან მოქანცულმა მცირე ხნით სუფთა ჰაერი მაინც ისუნთქოს. აქ არც ლექციებს, არც სხვა რამ კულტურულ გ სართობს ალაგი არა აქვს, გარდა ორიოდე ქართულ-სომხურ წარმოდგენისა, რომელთა მმართველების უმეტესობა ისეთივე „დახელოვნებული მსახიობნი" არიან, როგორც მე ჩინეთის მეფე.

26 თიბათვეს წარმოადგინეს ოპერეტა „არშინ მალ ალან", თათრულიდან ქართულად ნათარგმნი ვ. გიგოშვილის მიერ პიესის შინაარსი საიმისოს არას წარმოადგენს და ზოგიერთი სცენის-მოყვარის მანჭვა გრეხვაც უფრო გარყვნილთა სახლის შესაფერი იყო, ვიდრე ხელოვნების ტაძრისა. პიესის მიმზიდველობა ხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ იქ აზიურ საკრავებს უკრავენ და ზედ ქართულად დამღერიან, მაგრამ ეს ის სიმღერა კი არ არის, ადამიან სმენას და გრძნობას რომ უტკბობს. არამედ ჩვეულებრივ სამიკიტნოში შეკრებილ ლოთე ის ღრიანცელი. წარმოდგენაზე დიდ ძალი ხალხი დაესწრო და, ვგონებ, უფრო იმისთვის, რომ წარმოდგენა საბურთალოს სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის სასარგებლოდ იყო და იგივე წრე თაოსნობდა; მაგრამ როგორც შევიტყეთ, „არშინ მალალანის" წრეს საბურთალოს წრისთვის შრომის ფასად 130 მან. გადაუხდევინებია. ამ ვაჭრულ ქველმოქმედებით წრემ საიმისო ისარგებლა თუ არა—ალლაჰმა უწყის

ალ. გაჯიაშვილი

სტავროპლის საკომერციო კლუბში 29/V-კ-I ე. ა. შერვაშიძის თაოსნობით, ფრანგთა კომპოზიტორი ა. ა. ფერტერის ხელმძღვანელობით გაიმართა სამუსიკო-ვო ალური სალამო, რომელშიაც მონაწილეობდნენ ცნობილი პირნი, სხვათაშორის მონაწილეობდა ჩვენი თანამემამულე ალ. ოგანეზაშვილი, რომელმაც დამსწრენი აღტაცებ ში მოიყვანა. ამავე ალ. ოგანეზაშვილმა, როგორც „აღმოსავლეთის მელოდიების ცნობილმა აღმასრულებელმა" (ასე აცხადებენ აფიშებში) 23 მაისს მონაწილეობა მიიღო პატრიოტულ კონცერტში და ჭიანურზე დაუკრა „პინტელე იუდი," ებრაული ოპერიდან. ორივე სალამომ კარგად ჩაიარა და ჩვენი ა. ოგანეზიშვილიც ძლიერ მოეწონათ **ხ—ლი.**

ქ. ბათომის სცენის მოყვ. დრამატ. დასმა მარო მდივანის, კავთელისა და ბარველის მონაწილეობით 19 თიბ. წარმოადგინა ნ. შიუკაშვილის 4 მოქ. დრ. „სიმახინჯე". საქმის სიყვარულით გატაცებულმა ბათომის სცენის მოყვარეთა დასმა, როგორც სხვა უფრო რთულ პიესებში, ამაშიაც ფხა გამოიჩინა და პიესა გვარიანად ჩაატარა. ბარველი ნამდვილი, რეალური განსახიერება იყო საბასი: იგი ამ როლის საუკეთესო აღმასრულებლად უნდა ჩაითვალოს. საუცხოვო იყო ქ-ნი მდივანი (სონა). არა უშავდა ქ-ნ კავთელს (დარეჯანი), თუმც დარეჯანი მისი შესაფერი არ არის; კარგად შეასრულა ბ. უსტიაშვილმა თომას როლი (მე-3-მე მოქმ. ხომ შეუდარებელი იყო), ბ-ნი ჭავჭანიძე (ვასო) უკეთესი იქნებოდა, რომ სიტყვები მეტად არ გაექიანურებია; არა უშავდათ-რა ქ-ნ ობოლს (დარია), ვადაჭკორიას (ილიკო). ფ. ლომინაძეს (მარო) და ბ-ნ გურულს (გიორგი). დანარჩენები ხელს უწყობდენ. თუმცა ზოგიერთნი როლის უცოდინარობით მოისუსტებდენ. წარმოდგენა ღამის 11 ს და 15 წ. გათავდა, ხალხი კმაყოფილი დაიშალა.

Г. В—скій.

კულისებში

ჩვენი ზოგიერთ მსახიობის მეხსიერება საარაკოა: ერთი და იგივე როლი თექვსმეტჯერ რო მშეასრულოს, სათქმელს მაინც რიგზე ვერ იტყვის.

„ღალატის" წარმოდგენის დროს სოლეიმანის აღმასრულებელმა მეფური დიადობით გადმოხედა დარბაზს და იმის მაგიერ რომ პიესაში ნათქვამი „ალ-ყორანში (მაჰმადიანთა საღმრთო წიგნია) სწერიაო, ეთქვა, წარმოსთქვა:

— „ყვავ-ყორანში სწერია, რომ..." და შემდეგ ისევე განაგრძო, ვითომ და აქ არ ფაფერიაო.

შიტა!

წვრილი ამბები

ვალერიან გუნიას 35 წ. იუბილე გაიმართება გიორგობისთვეში, მისი ცხოვრება-მოღვაწეობის აღმწერად დასახელებულია ი. გომართელი და ა. ჭუმბაძე

დ. ახალსენაკის ქართ. დრამ. საზოგადოება საზაფხულო სეზონს დაიწყებს 10 ან 17 მკათათვეს და ამავე დღეს აკურთხებს სათეთატრო დარბაზს. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ვ. გუნია.

ხარფუხის კლუბში დღეს, 16 მკათათვეს, ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით კონცერტია.

ახალგაზდა მსახიობთა მ. სარაელისა და ი. თარალაშვილის თაოსნობით დღეს კოჯორში გაიმართება ქართ. წარმოდგენა „ახირებულია" და „ბაიყუში".

ახალგაზდა მსახიობის ალექსიძის (ქურდოვანიძის) გარდაცვალების წლის თავის პანაშვიდი დანიშნულია სადღეისოდ. წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.

საბავშო საღამოები მ. ხერხეულიძის თაოსნობით 28—29 თიბათვეს გაიმართა ჩოხოტაურ-ხიდისთავში, 1 მკათათვეს—ამაღლებაში.

მიხ. სიოკრიძემ იოსებ ტუღუშის ხსოვნის პატივსაცემლად „თეატრი და ცხოვრება" გაუწერა ხვარბეთის საზოგადოების კოოპერატივს ხალხში საკითხავად

ს. ცაიშის დრამატიული წრე ბეჯითად მუშაობს. ახლახან დასდგა გულისაშვილის „დრონი მეფობ"

ს. საგარეჯოში პეტრე-პმვლობას, 29 თიბათვეს, ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს „პარიზელი ბიჭი". საღამოში მონაწილეობა მიიღეს ილ. ქურხულმა და ი. მჭედლიშვილმა. აუარებელი ხალხი დაესწრო,

დავით გივიშვილი, მდაბიო ხალხის ცნობილი ფოლქსე, გარდიცვალა. დაწვრილებით შემდეგ.

სახალხო სახლის მმართველ კომისიაში თავის წარმომდგენელ ბად აარჩიეს ქართ. დრამ. საზოგადოებამ—გ. მ. ლასხიშვილი, თბ. სახ. უნივერსიტეტმა—ა. ს. ბაბოვი.

ძ. გათოლმში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრე ... კავთელისა და ი. ბარველის მონაწილეობით შაბათს, 9 მკათათვეს, წარმოადგენს ი. გედევანიშვილის ცვობილ პიესას „გამცემი", კვირას 10 მკათათვეს ვ. გუნიას მხიარულ კომედიას „ვაის გავეყარეთ—ვუის შევეყარეთ" მზადდება „მოლიპულ გზაზე", „დედინაცვალი", „ებრალები", „დამარცხებულნი".

იაგო ტეტუნაშვილმა ჟურ. „თეატრი და ცხოვრება" ქართველ მუსულმანებს გაუწერა თვის ხარჯით.

პაუსხი

ს. ცაიშ. გამოგზავნეთ დაწვრილებით ცნობებით.

ახალიკლუბ

1 კვირის პროგ 10—17 ივლისს

ოკრშაბათი—რუსული ოპერეტა

სამშაბათი—სიმფონიური კონცერტი

ოთხშაბათი—სინემატ. სიმფ. ორკესტრი

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. (უფას); ორკ.,

პარასკ. სინემატოგრაფი, სიმფონ. ორკ.

შაბ.—სიმფ. კონც. **სარაჯიშვილის** მონაწ.

კვირა—საბავშო საღამო, ორკეს. სინემატ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 სათ., წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ ს.

სშესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და ტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1.05 კ.

ხარფუხის საზ კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 131)

ერთი კვირის პროგრამა 10—17 კათათვემდე

კვირა—კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; საზანდარი.

ოკრშაბათი—სინემატოგრაფი; ორკესტრი.

სამშაბათი—რუსული ოპერ.; სიმებიანი ორკ.

ოთხშაბათი—ქართული წარმოდგენა; ბალში—ორკესტრი.

ხუთშაბათი—საბავშვო საღამო 4-9 ს., სინემატოგრაფი; საზანდარი.

პარასკევი ქართული წარმოდგენა „ქრისტინე"; ბალში—დუდუკი.

შაბათი—სომხური წარმოდგენა „არშინ მალ ალანი"; სიმებიანი ორკესტრი.

კვირა—კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; საზანდარი.

წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

Дозволено Военной Цензурой **სტამბა „სორაპანი"**